# პროექტი "გავაცნოთ საქართველო მსოფლიოს"
# გამოცემები: "დედაქალაქი" და "საქმიანი საქართველო"

ქვეყნა რომელიც, უხსოვარ დროიდან არსებობს მსოფლიო რუკაზე, ქვეყნა რომელსაც ყოველ ჯერზე ახლიდან ეცნობოდნენ და ლამის თავიდან აღმოჩენამდე მიყავდა ისტორის გარდუვალობას, რომელსაც მიწასთან ასწორებდნენ, წვადნენ, არბევდნენ, ღვთისა და კაცის ნებით ისევ ფეხზე დგებოდა ნანგრევებიდან, ფერფლიდან, მავანთა და მავანთა სვეს იძულებით, დრო და დრო შეხიზნული, მომხვდურთა მძიმე უღელქვეშ მგმინავი, სასწაულებრივ ინარჩუნებდა თვითმყოფადობას და კაცობრიობის მეხსიერებას ერთადერთი სახელით საქრთველოდ - ქართველთა სამკვიდროდ შემორჩა სამარადჟამოდ!!!

ქვეყნის უძველეს ისტორიასთან წილნაყარი, მასავით მხცოვანია, მსოფლიოს ამქვეყნიურ სამოთხედ სახელდებული მთავრი ქალაქი თბილისი, უპირველესად რასაც ერი თუ ბერი, შინაური თუ გარედანნ მოსული, უსიტყვოდ ამჩენვს ჩევნი ქვეყნის მთავრ ქალაქს, ის უცანური სითბოა, უცნაური სიყვარული- რომელიც, როგორც ჩანს, მას დაარსების დღიდან დაებედა და გამოყვა დღემდე- სწორედ ამიტომაც დომინირებს ალბათ მის სახლეოწდებაში სიტყვა "თბილი".. და ახლა ნამდვლად ძნელია სინამდვილეში უხვი ბუნებრივი ცხელი წყაროების გამო შეარქვეს "თბილი" "ისი" თუ იმ არამიწიერი სითბოს გამო, რაც ანდამტივით იზიდავდა და იზიდავს ამ კურთხეულ მიწაზე მტერსაც და მოყვარესაც.

მტრები ისტორიას გადავულოცოთ და მოყვრისთვის თავიდან, ახლიდან გავხსნათ ჩვენი ქალაქის უჩვეულო სანახები, მოვუყვეთ დროის უკიდურესად დაჩქარებულ, თავბრუდამხვევ რიტმში ჩაფლულ თანამედროვე მსოფლიოს ქართველთა სამყოფელ-სამკვიდრებელზე უჩვეულო ისტორიები. სადაც რწმენისთვის, მამულისთვის, ყოველი გოჯი მიწისთვის ისეთი გააფთრებით ეწირებოდნენ, ისეთი თავდადების მაგალითებს უტოვებდნენ შთამომავლობას როგორსაც, მხოლოდ მითებში, ლეგენდებში, წმინდანთა ცხოვრებებში გააცხადებდი.

საკუთარი ქვეყნის და ქალაქის სიყვარული პათოსი არაა, არც პოზაა არც რაიმე ხარკი სავალდებულოდ დაწესებულიეს უაღრესად კეთილშობილური ვალია არა მარტო შენი ქვეყნის, არამედ მთელი კაცობრიობის წინაშეც.

ის რაც ისტორიის კუთვნილებაა, უჩვენოდაც ტირაჟირდება, მთავრი ისაა დღეს რა სათქმელი გვექნება და როგორ მივიტანთ ამ სათქმელს, რა სიტყვებით და შეფასებებით ჩავეწერებით მომავლის ჯერ კიდევ არ დაწერილ მატიანეში. ამ განწყობით და სულისკვეთებით იქმნება წიგნი სერია -

"საქართველო მთლიანად - ძველი და ახალი ისტორიები" პროექტის "გავაცნოთ საქართველო მსოფლიოს" ფარგლებში.

ამ განწყობით და ამ სულისკვეთებით შემოგვიერთდა ლამის მთელი საქართველო - ვისაც სათქმელი დაუგროვდა , ვინც წლების მანძილზე სიტყვით და საქმით, თავდადებით უნაგარო სიყვარულით ქვეყნის სამსახურში რიგით ჯარისკაცად ირიცხებოდა ან მის პულსაციას, ასეულობით კილომეტრით მოშორებულიც კი გულთან ახლოს გრძნობდა და განიცდიდა.

აი ასეთი ადამიანები წერენ წიგნს საქართველოზე , მის მთავარ ქალქზე, აი ასეთი ადამინები . ღიად, დაუფარავად გაამხელენ წარმატების საუდუმლოებს - საქმეში, პირად ცხოვრებაში რუდუნებით მიღწეულს და სხვათათვის გასაზიარებელს.

**წიგნი "დედაქალაქი" და "საქმიანი საქართველო" დაიტევს სათქმელს...**

**დავით პაკელიანი**
**"ჯგუფი დედაქალაქი"-ს დამფუძნებელი**



1500 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს თბილისს. იგი მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს დედაქალაქთაგანია, გამორჩეული თავისი წარსულით და აწმყოთი. წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალის მიერ დაარსებულ ქალაქს საუკუნეთა მანძილზე მოწამეობრივი ხვედრი ერგო, რადგან იგი იყო მთავარი სამიზნე მტრისა, რომელიც მუდამ მრავლად ყავდა საქართველოს.

მსოფლიოში ალბათ არ მოიძებნება ანალოგი ქვეყნისა და სარწმუნოებისთვის ისეთი თავდადებისა, რაც 1225 წელს თბილისში მოხდა, როცა ჯალალ ედ-დინის ბრძანებით ქრისტეს რჯულის ერთგულებისთვის ერთ დღეს 100 000 ქართველს მოკვეთეს თავი. იმ დღეს ჩვენს ეკლესიას ასი ათასი წმინდანი შეემატა, თბილისსა და სრულიად საქართველოს სულიერი მეციხოვნენი.

თბილისის განსაკუთრებული მფარველია დედოფალი შუშანიკი (VI ს.), რომელიც მეტეხის ტაძარშია დაკრძალული, წმიდა დავით გარეჯელი (VI ს.), რომელიც თავდაპირველად მთაწმინდაზე მოღვაწეობდა, წმიდა აბო თბილელი, ეროვნებით არაბი, რომელიც VIII საუკუნეში აწამეს და სხვანი.

დაე, მათი მეოხებით ღმერთმა კვლავაც დაიცვას ჩვენი დედაქალაქი და სრულიად საქართველო ხილული და უხილავი მტრისაგან და შეგვაძლებინოს ღვთის გზაზე დაუბრკოლებელი სვლა.

დღეს ამისთვის თბილისის ასზე მეტ ეკლესიაში აღევლინება წირვალოცვა. მათგან ორი - საკათედრო ტაძარია. სიონი, რომელსაც საფუძველი დედაქალაქის დაარსებისას ჩაეყარა და წმიდა სამების საკათედრო ტაძარი, რომელიც ბოლო ათასწლეულის უმნიშვნელოვანესი ძეგლია.

ვიმედოვნებთ, თბილისის შესახებ გამოცემული ეს წიგნი - "დედაქალაქი" მეტად საინტერესო მასალას მიაწვდის მკითხველს და ხელს შეუწყობს ჩვენი ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციას.

ღმერთმა დალოცოს "დედაქალაქის" გამომცემელნი და მკითხველნი.

**ილია II**
**სრულიად საქართველოს**
**კათოლიკოს-პატრიარქი**



პროექტის "გავაცნოთ საქართველო მსოფლიოს" კონცეფცია სრულიად ბუნებრივი და გასაგებია ჩემთვის, როგორც ქვეყნის პრეზიდენტისათვის და ამ განწყობით მინდა გადაფურცლოს იგი ყველა მოქალაქემ, საქართველოთი და მისი დედაქალაქით დაინტერესებულმა ნებისმიერმა ადამიანმა.

მჯერა, პროექტში მონაწილე თითოეული სახელმწიფო ორგანიზაცია, თითოეული კომპანია, ბიზნეს ჯგუფი და საქმიანი წრე ბევრად უფრო აღმატებულ ხარისხში წარადგენს თავის საქმიანობას და ეს კიდევ უფრო ერთი საიმედო გზავნილი გახდება, როგორც საკუთრივ ქვეყნის, ისე საერთაშორისო თანამეგობრობისათვის.

წარმატებებს ვუსურვებ ქვეყნისთვის ამ ყველაზე მნიშვნელოვან სეგმენტს - ბიზნესს, ერთიანი და ბედნიერი საქართველოს საკეთილდღეოდ!

მადლობა ავტორებს და გამომცემლებს ასეთი ფასდაუდებელი საჩუქრისათვის.

მადლობა პროექტის სპონსორებს და
მხარდამჭერებს.
საქართველო იქნება ძლიერი!

**საქართველოს პრეზიდენტი**
**მიხეილ სააკაშვილი**



ძველი თბილისი ცოცხალი ეთნოგრაფიული კონგლომერატია და თავისებური საგანძური, რომელიც თავის წიაღში ინახავს მრავალი ერისა და თაობის ზნე-ჩვეულებას, ერთ ქუჩაში სჭედს აღმოსავლურ და დასავლურ ცივილიზაციებს, აყალიბებს ცხოვრების ისეთ იშვიათ, ინდივიდუალურ და ეგზოტიკურ წესს, როგორიცაა თავისი შინაარსით მრავლისმთქმელი ცნება "თავისუფალი ყოფა."

ჩემი მონაწილეობა მონოგრაფიაში, "დედაქალაქის" ეთნოგრაფიული სურათის წარმოსაჩენად, მხოლოდ წარსულის რომანტიკული განცდით როდია ნაკარნახევი.

გამომცემლების მიერ შემოთავაზებული კონცეფცია არის სწორხაზოვანი გზა XXI საუკუნისაკენ. - გზა კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობიდან მომავლისაკენ.

**თამილა ცაგარეიშვილი**
**ეთნოლოგი,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,**
**პროფესორი**
**გამოცემის სარედაქციო**
**კოლეგიის ხელმძღვანელი**



თბილისზე არსებობს უამრავი გამოცემა. წინამდებარე გამოცემის ავტორებს ორიგინალური კონცეფცია აქვთ არჩეული და თანამედროვეობის გადასახედიდან დროულ და საშურ საქმეს აკეთებენ.

ალბათ, ასევე ძნელად იპოვით, მსოფლიოს დედაქალაქთა შორის, თბილისზე, ხანდაზმულობით უფრო ძველს.

თანაც თბილისს, ისტორიული თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას გარკვეული მისია ეკისრებოდა კავკასიის მრავალსაუკუნოვან საზოგადოებრივ განვითარებაში, რაც კარგად ჩანს მის ისტორიაში. ეს მისია კავკასიის ცენტრობისა, იმედია, მომავალშიც მისი ხვედრი იქნება.

დღეს ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ მხატვრულად გადაწყვეტილ, მაღალ-პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებულ გამოცემას, მით უფრო, სახელდებულს "სამაგიდო წიგნად", ძნელად გაეწევა მეტოქეობა. წარმატება მინდა ვუსურვო გამოცემას და ხანგრძლივი სიცოცხლე ყველაზე უტყუარ და შეუმცდარ შემფასებელთან - დროსთან ჭიდილში.

*დავით მუსხელიშვილი*
*აკადემიკოსი*
*გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წევრი*



თბილისი ჩემთვის დედამიწის ზურგზე, ყველაზე ფერადოვანი, ყველაზე ლაზათიანად მოქარგული დიდი პანოა, სადაც ღმერთები მზეებს ხატავენ, სადაც წმინდა გიორგის მადლი ანთია ....

მეგაპოლისების, ცათამბჯენების და თავბრუდამხვევ რიტმში ჩართულმა მსოფლიომ უნდა იცოდეს, რომ სადღაც კავკასიის მთებს გადაღმა, ბუნებრივ ლანდშაფტს, ხელისგულში ჰყავს გამომწყვდეული პატარა სამოთხე და ეს ჩემი თბილისია, ჩემი ბავშვობის ყმაწვილკაცობის და სულაც კაცობის ქალაქი. სადაც სალამს, ლამის ლოცვის ფასი აქვს.

მე ბევრ ქვეყანაში მიმოგზაურია, ბევრი ლამაზი და საინტერესო ქალაქი მინახავს და ის რაც არ შემორჩება მეხსიერების ფურცლებს, სწორედ ამ ქალაქებიდან წამოღებულ მშვენიერ გამოცემებს აღუდგენია.

ვფიქრობ, "დედაქალაქის" გამომცელების განზრახვაც სწორედ ესაaა და მივესალმები, რომ მის განხორციელებაში, იდეის ავტორებს უამრავი მხარდამჭერი ჰყავთ.

მადლობას მოგახსენებს ამ მნიშვნელოვან გამოცემაში ჩართვისათვის.

**ზურაბ წერეთელი**
**მხატვარი, აკადემიკოსი**
**გამოცემის სამხატვრო ხელმძღვანელი**



წინამდებარე წიგნი მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს, როგორც ზოგადად საქართველოს დიდებული, ამასთან რთული და საინტერესო წარსულის შესახებ, ისე მისი დედაქალაქის - თბილისის შესახებ.

საქართველო იყო ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის; აქ იკვეთებოდა კულტურების, ცივილიზაციებისა და ომების გზები. საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა ქართველი ხალხის ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, უცხოელთა წინააღმდეგ და ამან თავისი დაღი დაასვა ეროვნული ცხოვრების წესს, ხალხის ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებსა და მთელ კულტურას.

წიგნიდან "დედაქალაქი" მკითხველი ბევრ საინტერესოს შეიტყობს საქართველოს დედაქალაქის -თბილისის ისტორიისა, თბილისელთა ცხოვრების, ტრადიციებისა და ქალაქის პერსპექტივების შესახებ.

**როინ მეტრეველი**
**აკადემიკოსი**
**გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წევრი**















## საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია მხარს უჭერს კონცეპტუალურ პროექტს "გავაცნოთ საქართველო მსოფლიოს" და მის ფარგლებში წიგნების "დედაქალაქი" და "საქმიანი საქართველო" გამოცემას და განიხილავს მათ, როგორც ქვეყნის ფართომასშტაბიან პოპულარიზაციაში შეტანილ მნიშვნელოვან წვლილს.

პროექტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მივესალმებით სახელმწიფო უწყებების, ქართული და უცხოური საქმიანი წრეების აქტიურ მონაწილეობას და მივიჩნევთ, რომ მათი წვლილის დემონსტრირება ქვეყნის და მისი პოლიტიკური კურსის პირდაპირი მხარდაჭერაა.

მადლიერი ვიქნებით ყველა იმ ჯგუფისა, ვინც ქმედით დახმარებას გაუწევს წარმოდგენილ პროექტს.

დარწმუნებულები ვართ, აღნიშნული გამოცემები საუკეთესო გზავნილი იქნება მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნებისათვის.

**საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის**
**უფროსი ეკატერინე შარაშიძე**

საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია
Federation of Georgian Businessmen

## საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია

საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია მიესალმება წიგნების "დედაქალაქი" და "საქმიანი საქართველო"-ს გამოცემას. კომპეტენტური და პროფესიულ ავტორთა ჯგუფის მიერ გამოცემული ასეთი ტიპის წიგნები უდავოდ შეასრულებენ ქვეყნის საფუძვლიანად გაცნობის წინაპირობას და გარკვეული გზავნილიც კი იქნება საქართველოთი დაინტერესებული ადამიანებისათვის.

არ გვეგულება ბიზნეს ჯგუფი, კომპანია, ორგანიზაცია, რომელიც ამ საგამომცემლო პროექტებში მონაწილეობას ქვეყნის ღირსების საქმედ არ მიიჩნევს და არ შეიტანს წვლილს მის განხორციელებაში.

საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია, ცხადია, იზიარებს გამოცემის აქტუალურობის მნიშვნელობას და მზად არის გამოცემებთან თანამშრომლობისთვის.

**საქართველოს**
**ბიზნესმენთა ფედერაცია**

*საქართველოს*
*სავაჭრო-სამრეწველო პალატა*
*Georgian Chamber*
*of Commerce and Industry*

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა მიესალმება წიგნების "დედაქალაქის" და "საქმიანი საქართველოს" გამოცემას.

ჩვენი საქმინობის პარალელურად, ისეთი ტიპის გამოცემების არსებობა, რომლებიც ხელს უწყობენ ქვეყნის ისტორიული და კულტურული მიღწევების, ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის წარმოჩენას, ქართული ბრენდების პოპულარიზაციას, სწორი და დროული გადაწყვეტილებაა.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრთა სახელით გილოცავთ ამ მეტად მნიშვნელოვან წამოწყებას და გისურვებთ შემდგომ წარმატებებს.

**გენერალური დირექტორი**
**გიორგი კაკაბაძე**

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

პროექტის "გავაცნოთ საქართველო მსოფლიოს" მნიშვნელობა და დატვირთვა ჩვენი ქვეყნისათვის, მისი ეკონომიკური განვითარებისა და ინფორმაციული ვაკუუმის გარღვევის საქმეში, მართლაც დიდი და დასაფასებელია. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სახელით მადლობას მოგახსენებთ ამ მნიშვნელოვანი ინიციატივისათვის.

დღეს აჭარაში მართლაც ძირეული ცვლილებებია. ახლებური მიდგომებითა და მენეჯმენტით ბევრი ახალი და ძველი ორგანიზაცია, ქართული და უცხოური ბიზნეს ჯგუფები ერთმანეთის მხარდამხარ აშენებს აჭარის ეკონომიკას - საქართველოს.

ვიმედოვნებ, ყოველი მათგანისათვის დიდი პატივი იქნება წარმოადგინოს თავისი საქმიანობა ამ სამაგიდო - საპრეზენტაციო წიგნებში - თანამედროვე, ერთიანი საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვან გამოცემებში.

გიცხადებთ სრულ მხარდაჭერასა და გისურვებთ წარმატებას.

**ლევან ვარშალომიძე**

## ქალაქ თბილისის მერი

კერძო სექტორის ყველა მცდელობა ამგვარ საპრეზენტაციო სასაჩუქრე გამოცემებზე მუშაობისათვის, ნებისმიერ ეტაპზე იქნება მხარდაჭერილი დედაქალაქის მერიის მხრიდან, რადგანაც ქვეყნის პოპულარიზაცია, დედაქალაქის უაღრესად მდიდარი ისტორიის, მისი განვითარების ახალი ეტაპების, სამომავლო პერსპექტივების ღირსეული წარდგენა საერთაშორისო არენაზე, ბიზნესის განვითარების ახალი ტემპების და შესაძლებლობის დემონსტრირება, მისი ყველა მოქალაქის და პირველ რიგში, სახელმწიფო ინსტიტუტების და ორგანიზაციების ვალია.

უდაოდ აღსანიშნავია სარედაქციო კოლეგიის ასეთი სოლიდური მონაწილეებით წარმოდგენა და დიდი სიამოვნებით გავიზიარებთ ჩვენს ჩართვას აღნიშნულ გამოცემებში.

მივესალმებით ბიზნეს წრეების აქტიურობას და ასეთი მასშტაბებით ბიზნეს სექტორის ჩართვას გამოცემებში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ბიზნესს თანაცხოვრების ახალი პერსპექტივები დაუსახა და პარტნიორობის თანამედროვე პასუხისმგებლობის ამაღლებაში ეხმარება, ხელს უწყობს მის განვითარებას.

აქვე მინდა მადლობა გადაგიხადოთ ავტორთა ჯგუფში მოწვევისათვის, დედაქალაქის და ქვეყნის ინტერესებიდან, პროექტის უდიდესი მნიშვნელობიდან გამომდინარე სიამოვნებით გთანხმდებით და მზადყოფნას გამოვთქვამ აქტიური თანამშრომლობისათვის.

**გიგი უგულავა**


**სარედაქციო კოლეგია:**

*კოლეგიის ხელმძღვანელი - პროფესორი თამილა ცაგარეიშვილი*

***წევრები:*** *პროფესორი გიული ალასანია, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი, აკადემიკოსი დავით ლორთქიფანიძე.* **მხატვრული რედაქტორი** *აკადემიკოსი ზურაბ წერეთელი,* ***ფოტორედაქტორი*** *იური მეჩითოვი,* ***დიზაინ სტუდია:*** *კომპანია "ა.მ.ი." და "ოქსინო".*

www.dedaqalaqi.ge



არსი
PSP ფარმა
ნატახტარი NATAKHTARI BREWERY
ტავერნა ქვის სახლი
ელიტ ელექტრონიქსი ELIT ELECTRONICS
საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია Federation of Georgian Businessmen
Marriott HOTELS & RESORTS